ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

დადგენილება N 25

17 ოქტომბერი 2019 წელი

დ.ხარაგაული 56-00

9 აპრილის ქუჩა

#15

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მითითების ოქმის და შემოწმების აქტის ფორმის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ" ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების,არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 124-ე მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურის მითითების ოქმის ფორმა (დანართი 1).

მუხლი 2.

დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურის შემოწმების აქტის ფორმა (დანართი 2).

მუხლი 3 . დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ქ. ბარბაქაძე **მანანა ბარბაქაძე**